CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

გზა შინისაკენ

Caritas
Czech Republic

გზა შინისაკენ

ზრდასრულთა ალტერნატიული სოციალური სერვისების განვითარება საქართველოში



სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მნიშვნელოვანი ფაქტები

პროექტი დაფინანსებულია
ჩეხეთის განვითარების სააგენტოს
მიერ ჯამური ბიუჯეტით
825 400 €

პროექტის ხანგრძლივობა:
ივნისი, 2020 – დეკემბერი, 2023

პროექტის მიზანი: ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებაზე დაფუძნებული ზრდასრულთა ალტერნატიული სოციალური სერვისის განვითარება საქართველოში

პროექტი ინიცირებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ.

თემის აქტუალურობა

ადამიანები, რომელთაც რაიმე სახის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა აქვთ, სრულად უნდა იყვნენ ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ცხოვრობდნენ სრულყოფილად ისევე, როგორც შეზღუდვის არმქონე სხვა პირები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2014 წელს შეუერთდა გაეროს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ და მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული კონვენციის იმპლემენტაციის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი შშმ პირთა უფლებების სრული რეალიზებისთვის. ამისათვის საჭიროა როგორც საზოგადოების უფრო მეტად მზაობა, ასევე შესაბამისი მხარდამჭერი სისტემების გამართვა, რაც ხელს შეუწყობს შშმ პირთა დამოუკიდებელ ცხოვრებას და მათი უფლებების პატივისცემას, დაცვასა და რეალიზებას.

სწორედ ამ საკითხს ემსახურება ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტი **"გზა შინისაკენ: ზრდასრულთა ალტერნატიული სოციალური სერვისების განვითარება საქართველოში"**, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში დეინსტიტუციონალიზაციის მდგრადი პროცესის წარმართვას და შესაბამისი ალტერნატიული ზრუნვის სერვისების განვითარების ხელშეწყობას.

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი ეხება უშუალოდ **ორი დიდი ზომის შშმ პირთა ინსტიტუციის ტრანსფორმაციას დუშეთსა და მარტყოფში**.

პროექტის მიზნის მისაღწევად ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კომპლექსური სტრატეგიული მიდგომები შემუშავდება და განხორციელდება:



მიმართულება I: დეინსტიტუციონალიზაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

მიმართულება II: დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დამხმარე ალტერნატიული სერვისების ჩამოყალიბება

მიმართულება III: ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობა

მიმართულება IV: ცნობიერების ამაღლება

მიმართულება I

დეინსტიტუციონალიზაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და მდგრადობას. მიზნის მისაღწევად შემუშავდა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება კომპლექსურ მიმართულებებს: ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია („კარიბჭის“ პრინციპით), შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციაზე ორიენტირებული დამხმარე სერვისების განვითარება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა უფლებების შესახებ.

დოკუმენტები განიხილა პროექტის სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად და აერთიანებს პოლიტიკის შემქმნელებს, სახალხო დამცველს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის და დარგის ექსპერტებს. აღნიშნული დოკუმენტები დამტკიცებული იქნება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

„ დიდი ზომის დაწესებულებებში ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობა არ არის. ასეთი ტიპის სახლებში 70-მდე ადამიანი ცხოვრობს ერთად, რაც თითოეული მათგანისთვის დამაზიანებელია. გაზრდილია ძალადობის რისკებიც. ცხადია, სისტემური ცვლილება აუცილებელია, რადგან, სამწუხაროდ, არსებობენ შშმ პირები, რომლებსაც არ აქვთ ოჯახში ცხოვრების შესაძლებლობა და სჭირდებათ ოჯახსა და სახლთან მიახლოებული ზრუნვა. ესაა ამოსავალი წერტილი.

მერი მაღლაფერიძე,
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი.

მიმართულება II

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დამხმარე ალტერნატიული სერვისების ჩამოყალიბება.

ხსენებული ღონისძიებების მიზანია, დიდ ინსტიტუციებში მცხოვრებ შეზღუდვის მქონე პირებს ახალი ცხოვრების დაწყებაში დავეხმაროთ და შევთავაზოთ თემზე დაფუძნებული ზრუნვის ალტერნატიული სერვისი, რომლის ფარგლებშიც თითოეული ბენეფიციარის/კლიენტის ინდივიდუალური საჭიროება იქნება გათვალისწინებული.

კონკრეტულად კი პროექტი მიზნად ისახავს შშმ პირთა ორი დიდი პანსიონატის დეინსტიტუციონალიზაციას მარტყოფსა და დუშეთში და ბენეფიციარებისთვის შესაბამისი საოჯახო ტიპის თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარებას, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.

პროექტის სარგებელი ეხება **დუშეთის საცხოვრისის 47 და მარტყოფის – 68 ბენეფიციარს, ასევე, მზრუნველობის სახლების 115 თანამშრომელს.**

მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი:

- **ბენეფიციართა საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა:** ცვლილებები დაფუძნებული იქნება ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლაზე, რისთვისაც შესაბამისი მუშაობა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

- **ჩეხური გამოცდილების გაზიარება:** პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ჩეხი ექსპერტები: მარტინ ჰაიცელი, დანა სისლოვა და პეტრ მატუშკა, რომლებიც ონლაინ რეჟიმში მთელი წლის განმავლობაში უზიარებენ პროექტის თანამშრომლებს ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილებას დეინსტიტუციონალიზაციის საკითხზე.

- **ნორმატიული ჩარჩოს შემუშავება/განახლება:** ზრდასრულთა საოჯახო ტიპის თემზე დაფუძნებული ახალი სახის სერვისების ორგანიზებისთვის შემუშავდა შემდეგი ჩარჩო დოკუმენტაცია: მომსახურების სტანდარტი, ხარისხის მართვის სისტემა და მონიტორინგის, საორგანიზაციო რეგულაციები, ა.შ.

წლების წინ, ჩემი შვილის მდგომარეობიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ მის მომავალზე უნდა მეფიქრა, რათა სწორად და ღირსეულად, ჩემ გარეშე ცხოვრების საშუალება მისცემოდა. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი საჭიროების მქონე ადამიანი დარჩეს თემში, სხვა ადამიანების მსგავსად. ეს არის თანამედროვე, ღირსეული და სწორი მიდგომა.

მაია შიშნიაშვილი,
სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი ორგანიზაციის
„ხელი ხელს“ დამფუძნებელი, მშობელთა ორგანიზაციების
კოალიციის გამგეობის თავმჯდომარე

- **ინფრასტრუქტურის შექმნა ახალი სერვისებისთვის:** პროექტის ფარგლებში დაფუძნდება საოჯახო ტიპის 6 სახლი დუშეთსა და სხვა შერჩეულ მუნიციპალიტეტში. ამჟამად მიმდინარეობს 3 სახლის რეაბილიტაციის პროცესი.

- **სერვისის ორგანიზება:** პროექტი ასევე ითვალისწინებს პერსონალის მომზადებას ახალი სერვისების ჩამოყალიბებისთვის, ბენეფიციართა მომზადების პროცესს ახალ სერვისში გადასაყვანად, რაც მიზნად ისახავს ბენეფიციართათვის ახალ გარემოში დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად საჭირო პირობების უზრუნველყოფას.

მიმართულება III

ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობა

პროექტი ასევე პასუხობს მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც დაკავშირებულია სოციალური სერვისების გეოგრაფიულ მისაწვდომობასთან რეგიონებში და ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობას სერვისების განვითარების კუთხით. ეს თანამშრომლობა ეფექტურად მიმდინარეობს უშუალოდ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სადაც შეიქმნება მცირე საოჯახო ტიპის თემზე დაფუძნებული სერვისები და გაუმჯობესდება საჯარო პოლიტიკის დაგეგმვა შშმ პირთა უფლებების რეალიზების მიზნით.

მიმართულება IV

ცნობიერების ამაღლება: ბენეფიციარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მიზნით, ცნობიერების ამაღლების კამპანია მიმართულია საზოგადოების წარმომადგენლებზე, ადგილობრივი პოლიტიკის შემქმნელებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეზე. ეს საქმიანობა პროექტის განუყოფელი ნაწილია და მიზნად ისახავს საზოგადოებაში არსებული ღრმად ფესვგადგმული სტიგმის და დამოკიდებულებების შეცვლას შშმ პირთა მიმართ. აუცილებელია, გარემომ უკეთ გააცნობიეროს დეინსტიტუციონალიზაციის არსი და მნიშვნელობა, ასევე, დიდ ინსტიტუციებში მცხოვრები ადამიანების უფლებები და შესაძლებლობები, რათა მათ ჰქონდეთ საკუთარი საცხოვრებელი, სრულფასოვნად იყვნენ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და თავიანთი წვლილი შეჰქონდეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩეხეთის კარიტასისთვის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის თანამონაწილეობა ძალიან საპასუხისმგებლო და რთული საქმეა, რაც კომპლექსურ მიდგომას გულისხმობს. ჩვენი პროექტი მიზნად ისახავს არა მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერას დეინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით და არა მხოლოდ ინსტიტუციებში მცხოვრები კონკრეტული ადამიანების ცხოვრების ტრანსფორმაციას, არამედ ეს არის დაკავშირებული მთლიანად სოციალურ ტრანსფორმაციასთან. საზოგადოების მიერ საკითხის და ღირებულებების სწორად გააზრებასთან. ეს კი საჭიროებს დროს, საზოგადოების მზაობას, დამოკიდებულების შეცვლას, კარგად გააზრებას, რომ ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება, იყოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, თანაბრად ისარგებლოს საზოგადოებრივი სიკეთეებით და ასევე, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

თამარ კურტანიძე, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის მენეჯერი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ცნობიერების ამაღლება და ღირსეული ცხოვრების ადეკვატური მხარდაჭერა გადამწყვეტია იმისთვის, რომ „შინისკენ მიმავალი“ გზა მხოლოდ ცალმხრივი იყოს.

ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ადამიანი იმსახურებს ღირსეულ და სრულყოფილ ცხოვრებას.

მოდით, ერთად შევქმნათ გარემო, რომელშიც თითოეული ადამიანი თანასწორია!

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ. N8,
კორპუსი N4, ბინა N24

(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz

georgia.charita.cz

www.facebook.com/CCRGeorgia2015